ერი, რომელიც იბრძვის თავისუფლებისათვის, მოიპოვებს თავისუფლებას!

დემოკრატი

№2
14 აპნისი 1990 წ.

გაზეთი გამოდის ქართულ და რუსულ ენებზე
1989 წლის გიორგობისთვის 30-დან

საქართველოს დემოკრატიული პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოფადი..."

"საუკუნეთა მანძილზე ქართველ ხალხს თუმცა მრავალი განსაცდელი შეხვდა, მაგრამ ღვთის მფარველობას, ღვთის მარჯვენის გადამრჩენელ და განმამტკიცებელ ძალას მუდამ ვგრძნობდით...

დაილალა კაცობრიობა უღვთოდ და უსიყვარულოდ. გამოიფიტა და გაცივდა ჩვენი გულები. უფლის მოწყალების იმედით აღვსილებმა აღვავლინოთ ლოცვები უფლისადმი და ვევედროთ უფალს შობის მადლით კვლავაც დაგვიბრუნოს სიყვარული ღვთისა და მოყვასისა. გაგვინათოს გონება, რომ ყოველ კაცში დავინახოთ ძმა საყვარელი, ვცნოთ ჭეშმარიტი და მივდიოთ მას..."

/ამონაწერი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საახალწლო ეპისტოლედან/.

გასულმა წელმა მრავალი სატკივარი დაგვიტოვა, მრავალი უპასუხოდ დარჩენილი კითხვა, მაგრამ მოსმენა გვასწავლა. მტერსაც ვუსმენდით და მოყვარესაც, სულელურ ნათქვამსაც ვუსმენდით და ჭკვიანურსაც და დავრწმუნდით, რომ ჩვენს სატკივარს ჩვენვე თუ არ ვუმკურნალებთ, თუ არ გავერთიანდით მტერი წაგვლეკავს და ჩვენს ქვეყანას, „როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან". საქართველოში კრემლის მიერ ინსპირირებულ ბარბაროსულ აქციებს, ეთნოკონფლიქტებს სამშობლო ჩვენი გარდაუვალი დაღუპვისაგან მიჰყავს.

გასული წლის მწარე გაკვეთილებიდან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება, საქართველოში დაგროვილი უამრავი პრობლემების გადაჭრა მხოლოდ დამოუკიდებელ, დემოკრატიულ საქართველოშია შესაძლებელი და ეს კარგად უნდა გაიგონ საქართველოში მაცხოვრებელმა არაქართველებმაც რადგან კრემლის მიერ, ერთაშორისი შუღლის გაღვივებისა და საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობის მიზნით ინსპირირებული ეთნოკონფლიქტები აშკარა მტრობაა არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების მიმართაც...

ასტროლოგები გვპირდებიან, რომ მომავალ წელს პრაქტიკულად განხორციელდება ის დიდი იდეა, რომელიც საბოლოოდ გამოკვეთა გასულმა, გველის წელმა.

თუმცა, ვერც ფუტუროლოგია, ვერც ქირომანტია და ვერც ასტროლოგია გვიშველის, რადგან, როგორც ძველი ლათინები ამბობდნენ, "ვარსკვლავები შთაგვაგონებენ, მაგრამ არ გვაიძულებენ". ყველაფერი ადამიანზე, მის პიროვნულ თვისებებზე, სულის სიძლიერეზე და იდეის ერთგულებაზეა დამოკიდებული.

"მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი, ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოფადი..." და ეს მომავალი მარტო საახალწლო სურვილი არ გახლავთ. ეს ის მიზანია, რომელიც ყოველი ჩვენთაგანის სიცოცხლეზე მეტია. ეს სურვილი ყოველი ჩვენთაგანის სულის სიღრმეშია და რა უნდა ვინატროთ მომავალ წელს, თუ არა ჩვენი დიდი ოცნების ახდენა.

"რომელი ითხოვდეს, მიელოს და რომელი ეძებდეს, ჰპოვოს და რომელი ირეკდეს – განეღოს...".

სამყაროში ყველაფერი გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება, რასაც ჩვენი გონება ადვილად ვერ შესწვდება, მაგრამ თუ ყველაზე დიდ, ყველაზე ღრმა და ამოუცნობ წიგნს დავესესხებით, საუკუნოვანი მონობიდან გამოფხიზლებულები დავიძარით და ჩვენი წარმოსახვითი ეგვიპტიდან მოვდივართ. გზა ძნელია და მრავალთათვის დავიწყებულიც. მხოლოდ ღვთისმიერ გონებაგანათებულებს ძალუძთ ერის სწორი გზით ტარება.

ქართული წესით ახალი წელი შობას მოჰყვება და აპნისის 14-ში მობრძანდება.

მომავალო წელო, მოგვეც ძალა აღზევებისა!

შეგვეძლოს ბრძოლა, შეგვეძლოს შენდობა და შეგვეძლოს სიყვარული.

სამგზის ვულოცავთ საქართველოში მცხოვრებ ყველა ხალხს 1990 წლის მობრძანებას.

საქართველოს დემოკრატიული პარტიის
რუსთავის საქალაქო კომიტეტი.

ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში

აპნისის ექვსში გაიმართა ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის სხდომა, რომელზეც გამოტანილი და განხილული იქნა შემდეგი საკითხი: საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების მიხედვით სამომავლო სამოქმედო გეგმის შემუშავება და თბილისში აპნისის ოთხში დაწყებული აქციის შემდგომი განვითარება. მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ კვირას აპნისის შვიდში მთავრობის სასახლის წინ, ჩატარდებოდა საპროტესტო მიტინგი, ხოლო აპნისის რვიდან დაიწყება საპროტესტო შიმშილობა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით. განხილული იქნა კრემლში გასაგზავნი ერთობლივი დეპეშის ტექსტი, რომელშიც მოცემულია შექმნილი სიტუაციის მოკლე პოლიტიკური შეფასება და მოთხოვნა: საქართველოში ჩამოვიდნენ სსრკ ცკ პოლიტბიუროს წევრები, უკანონო მაგრამ რეალური ხელისუფლების წარმომადგენლები და გამართონ მოლაპარაკება საქართველოს ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებთან, რადგან დღეს საქართველოში, ერის ინტერესების ჭეშმარიტ გამომხატველად მხოლოდ ეროვნულ მოძრაობაში ჩაბმული რადიკალური ორგანიზაციები გვევლინებიან.

სურათზე: საპროტესტო შიმშილობა

ეროვნული სამართლიანობის პარტიამ შემოიტანა წინადადება, მრავალპარტიული არჩევნებისა და საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის მოთხოვნის შესახებ. ეს წინადადება კატეგორიულად იქნა უარყოფილი, რადგან ერ. ხსნის მთ.კომიტეტში შემავალი ორგანიზაციები არ ცნობენ საქ. სსრ კონსტიტუციასა და საერთოდ საბჭოთა ხელისუფლების კანონიერებას საქართველოში. აქედან გამომდინარე უმნიშვნელოდ მიაჩნია კონსტიტუციის ცალკეული მუხლების შეცვლა.

ზვიად გამსახურდიამ უარი განაცხადა დეპეშაზე ხელის მოწერაზე, რადგანაც არ დაეთანხმა მასში მოცემულ ფორმულირებას ეთნოკონფლიქტების შესახებ. მისი აზრით: საქართველოში არავითარი ეთნოკონფლიქტი არ არსებობს, უბრალოდ კრემლის მიერ შექმნილი ბანდები ესხმიან თავს ქართულ მოსახლეობას. ეს მოსაზრება უარყოფილი იქნა, რადგან როგორც დეპეშაშია ნათქვამი: კრემლის ინსპირატორების ეფექტური მუშაობის შედეგად, საქართველოში პროვოცირებული იქნა სხვადასხვა ეროვნების ხალხი, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ეთნოკონფლიქტები. დეპეშას ხელი მოაწერეს: ეროვ. დემოკრატიულმა პარტიამ, საქ. დემოკრატიულმა პარტიამ, საქ. ეროვ. დამოუკიდებლობის პარტიამ და ეროვნული სამართლიანობის პარტიამ.

გაიმართა საუბარი ცხინვალში შექმნილი ვითარებისა და მისი სტაბილიზაციის აუცილებლობის შესახებ. გაზიარებული იქნა ეო. დამოუკიდებლობის პარტიის შემდეგი მოსაზრება: სამაჩაბლოს ტერიტორიიდან გამოყვანილი იქნას ყველა ნებაყოფლობითი რაზმი და დაშლილი იქნას პიკეტები. დაუყოვნებლივ მხილებული იქნება ყველა, ვინც თავისი მოქმედებით ხელს შეუწყობს კ ო ნ ფლიქტის გაღვივებას. დაგმობილი იქნა ხალხის მიერ რკინიგზის საამქროში აპნისის ექვსში ოსი ეროვნების ორი ქალის ჩაქოლვის მცდელობა. საბედნიეროდ შემთხვევის ადგილზე აღმოჩნდნენ ერ. დამოუკიდებლობის პარტიის წევრები და ეს ინციდენტი მშვიდობიანად დამთავრდა. ირაკლი წერეთელმა აღნიშნა, რომ: შეიძლება ვინმემ ქართველი ერისათვის შეურაცხმყოფელი სიტყვები თქვას მაგრამ ეს სავსებით არ გვაძლევს ბარბაროსული მოქმედების საბაბს, ჩვენ ვერ მოვკლავთ ჩვილ ბავშვს და ვერ დავემსგავსებით ბრბოს.

რაც შეეხება აქციის ჩატარების ფორმებს: გაფიცვებისაკენ მოწოდება გადაწყვეტილია მხოლოდ თბილისში, ხოლო რაიონებიდან მოეწყობა მასობრივი მსვლელობები თბილისში. გადაწყვეტილია მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების პიკეტირება.

შენიშვნა: აპნისის 11-ში, შესაბამისი გადაწყვეტილების თანახმად, გაფიცვა გამოცხადდა ქ. რუსთავში. მოსალოდნელია გაფიცვების გამოცხადება სრულიად საქართველოში.

სურათზე: საპროტესტო შიმშილობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტოქრონიკა

ქრისტეშობისთვის 22-ში, ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, ქ.რუსთავში მოქმედი ყველა პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიიღეს გადაწყვეტილება-ქრისტეშობისთვის 23-ში მოეწყოთ საპროტესტო მანიფესტაცია და მიტინგი ქალაქკომის წინ.

ქრისტეშობისთვის 23-დან გამოცხადებული იქნა მშდომიარე გაფიცვა ქალაქკომის შენობასთან. შეიქმნა საქალაქო საგაფიცვო კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ საქართველოს დემოკრატიული პარტიის, წმ. ილია მართლის საზოგადოების, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის IV დასისა და ახალგაზრდულ-ქრისტიანული ასოციაციის 3-3 წარმომადგენელი. საგაფიცვო კომიტეტმა, მიღებული დადგენილების შესაბამისად, გაფიცვისაკენ მოუწოდა საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებს. გაფიცვა გამოცხადდა ქრისტეშობისთვის 23-დან 30-ის ჩათვლით საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის მოთხოვნით.

ქრისტეშობისთვის 24 და 25 რიცხვებში გაიფიცნენ მეტალურგიული ქარხნის რკინიგზის საამქროს მემანქანეები და მათი თანაშემწეები. არჩეული იქნა საგაფიცვო კომიტეტი 7 კაცის შემადგენლობით. მათ შეუერთდა ამწევშენებელი ქარხნისა და სხვა საწარმოთა მუშების ნაწილი.

ქრისტეშობისთვის 28-ში, საქალაქო საგაფიცვო კომიტეტის მოწვევით, ქ.რუსთავში ჩამოვიდნენ თბილისელი სტუმრები: საქართველოს ჰელსინკის კავშირის თავმჯდომარე-ზვიად გამსახურდია, ჰელსინკის კავშირის წევრი-რუსუდან მიქაბერიძე საქართველოს დემოკრატიული პარტიის თავარი კომიტეტის წევრი ვახტანგ ტალახაძე და წმ. ილია მართლის საზოგადოების გამგეობის წევრი ვაჟა ადამია. ისინი სიტყვით გამოვიდნენ მიტინგზე, ისაუბრეს საქართველოში შექმნილი მწვავე პოლიტიკური ვითარების შესახებ. მოუწოდეს რუსთაველ პატრიოტებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, მხარი დაუჭირონ ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის გადაწყვეტილებებს.

ქრისტეშობისთვის 30-ში რუსთაველი პატრიოტები ღირსეულად შეხვდნენ სსრკ-ის "შექმნის" 67 წლისთავს. დამსახურებული "პატივი" მიაგეს რევოლუციის ბელადის, კომუნისტური პარტიის მამამთავრის ვ.ი.ლენინის ქალაქკომის წინ აღმართულ ძეგლს. საზეიმო ცერემონიალის შემდეგ მოეწყო ვ.ი.ლენინის ტომების, ალკკ ბილეთებისა და კომუნისტური პარტიის მანდატების საზეიმო აუტოდაფე კომკავშირის ბილეთი ჩააბარა 40-მა, ხოლო პარტიის მანდატი I-მა პატრიოტმა.



სურათზე: გაფიცული რკინიგზელი პატრიოტები.

სურათზე: აქციის მონაწილენი.

სურათზე: ლენინის ძეგლი აქციის შემდეგ.



სურათზე: ისტორიის სანაგვე ყუთი.

სურათზე: ისტორიის სანაგვე ყუთის საზეიმო აუტოდაფე

ლევან გელოვანის ფოტოები.

სხვადასხვა

●

ქ. თბილისში, იგრიკას I0-ში, ქართველმა პატრიოტებმა ჩამოაგდეს და რუსთაველის ქუჩის გავლით გაასვენეს, საბჭოთა "ჩეკას" ფუძემდებლის, ფელიქს ძერჟინსკისა და ალკკ-ს საქართველოს ფილიალის ფუძემდებლის ბორის ძნელაძის ძეგლები

●

იგრიკას II-ში, ლიტველმა ახალგაზრდებმა, "საზეიმო" შეხვედრა მოუწყვეს მ. გორბაჩოვს. ქალაქის ქუჩებში მილიონზე მეტი კაცი იდგა დამოუკიდებლობის მოთხოვნით, სანთლით ხელში.

იმავე დღეს, სოლიდარობის ნიშნად, თბილისის ქუჩებშიც I9-დან 2I ს-მდე ათასობით კაცი იდგა სანთლით ხელში.

ჩვენი მომავალი ჩვენს ხელთაა

რეფერენდუმი არის ხალხის ნების უშუალო, /პირდაპირი/ გამოხატვის პოლიტიკურად აპრობირებული მექანიზმი. დემოკრატია წარმოუდგენელია რეფერენდუმის პრაქტიკის გარეშე. საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმი, რომელიც არასოდეს არაფრად აგდებდა ხალხის ნებას და რომელსაც ყოველთვის ეშინოდა დემოკრატიის, რა თქმა უნდა წინააღმდეგია ყოველგვარი ასეთი აქტის ჩატარებისა. ხელისუფლებას სურს ეროვნული მოძრაობა წარმართოს მისთვის სასურველი, ძალისმიერი მიმართულებით. ამ მიზნით იმპერიულმა ძალებმა ათასგვარი პროვოკაციებით გაამწვავეს ერთაშორისი ურთიერთობები. ბევრ ადგილას იფეთქეს ეთნოკონფლიქტის კერებმა. ზოგიერთი ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაცია ფაქტიურად წამოეგო კრემლის მიერ ინსპირირებულ პროვოკაციას და ეთნოკონფლიქტში ჩაება. მართალია, ძირითადად თავდაცვის ან გაშველების მიზნით, მაგრამ, ასეა თუ ისე, მათი ყურადღება გადატანილი იქნა სხვა საკითხებზე, რამაც დიდი ზარალი მიაყენა ეროვნულ მოძრაობას.

რეფერენდუმი, როგორც მშვიდობიანი, სამართლებრივ-პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი მკვეთრად გამოხატული ფორმა, დიდ დარტყმას აყენებს საბჭოთა ავტორიტარულ სტრუქტურას. ხელისუფლება, მისი ლაქია ფსევდოეროვნული ორგანიზაციები და შესაბამისად ოფიციოზი, ყოველგვარ ღონეს ხმარობენ რეფერენდუმის ჩასაშლელად. დაწყებულია კომპანია რეფერენდუმის მნიშვნელობის გასაყალბებლად, რამაც შეიძლება გულისამყრელად იმოქმედოს მოსახლეობის ნაკლებად პოლიტიზირებულ ნაწილზე.

შეზღუდული სუვერენიტეტის პირობებში ნებისმიერი დემოკრატიული პროცესურის ჩატარება რთულდება, ხშირ შემთხვევაში კი შეუძლებელიც ხდება. რეფერენდუმის ჩატარება ურთულეს პრობლემებთან იქნება დაკავშირებული ე.წ. საბჭოთა საქართველოს ამჟამინდელი სტატუსის პირობებში. საჭიროა მთელი ერის დარაზმვა ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის ირგვლივ, მთელი ეროვნული ძალის კონცენტრაცია ერთი მიმართულებით, თუ გვსურს დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანოთ.

რეფერენდუმის ჩატარებას მრავალი დადებითი ასპექტი აქვს. შეუძლებელია ყველა იმ პოლიტიკური არგუმენტის მოყვანა, რომლებიც მის სასარგებლოდ მეტყველებენ. ავღნიშნავთ მხოლოდ იმ ფაქტს, რომ თუ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა სამართლებრივი ფორმებით გამოხატავს თავის უზენაეს ნებას, დაადასტურებს თავის უფლებას-იცხოვროს დამოუკიდებელ და სამართლებრივ სახელმწიფოში, რეფერენდუმს შეიძლება საეტაპო მნიშვნელობაც კი მიენიჭოს ეროვნულ მოძრაობასა და საერთოდ, საქართველოს ისტორიული განვითარების პროცესებში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს და-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტუალური თემა

რა ხდება სამაჩაბლოში?..

გოგი ცალახაძე

/დასასრული. დასაწყისი იხილეთ გაზეთი დემოკრატი" №1/

გიორგობისთვის 23-24 რიცხვების აქციების შემდეგ ვითარება სამაჩაბლოში კიდევ უფრო დაიძაბა. ქართველთა შეიარაღებული კორდონების მოხსნის შემდეგ ოსთა ანტიქართულად განწყობილმა ნაწილმა თავი რატომღაც გამარჯვებულად ჩათვალა/?/, გათამამდა და აქტიურად შეუდგა ქართველთა მასობრივ რბევას. მათ გააქტიურებაში დიდი როლი ითამაშა ცხინვალში თადარიგის გენერლის, ფილოსოფიის დოქტორის - კიმი ცაგოლოვის ჩამოსვლამ. კიმი ცაგოლოვი, ეს ის ადამიანია, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება საბჭოთა იმპერიის მიზნების სამსახურში გაატარა. მუშაობდა კრემლში, სამხედრო მრჩევლად მსახურობდა ავღანეთში, პოლონეთში და სხვა.

როგორც თავად ცაგოლოვმა განაცხადა, ცხინვალში ოსების დაჭინებული თხოვნით ჩამოვიდა, რაც თავისთავად ეჭვს იწვევს, რადგან ნაკლებად საფიქრებელია, რომ საქართველოს ძირძველ მიწაზე დასახლებულ ოს ხალხს, რომლებსაც ქართველები მუდამ მმობას უწევდნენ, დასჭირვებოდათ დანმარება ადამიანისა, რომელსაც ასობით ათასი თავისუფლებისათვის მებრძოლი ავღანელის სისხლში აქვს ხელი გასვრილი და რომლისთვისაც უცხოა ყველა ჭეშმარიტი პატრიოტისათვის საფიცარი სიტყვები: მამული, ენა, სარწმუნოება. ალბათ უმჯობესი იქნებოდა გვეკითხა თუ ვინ და რატომ გზმოგზავნა ცაგოლოვი სამაჩაბლოში. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა კი საკმაოდ გაგვიადვილდება, თუ მის "მოღვაწეობას" საღი თვალით შევხედავთ. კერძოდ, ცაგოლოვი საკმაოდ გამოცდილია როგორც დიპლომატიურ სამსახურში, ისე სადაზვერვო საქმეში. იცის სად როგორ მოიქცეს, მოქმედებს ფრთხილად და ოპერატიულად. პირველყოვლისა მან, გასაგები მიზეზის გამო, უარი განაცხადა ოსი ხალხის მიერ მისი ე.წ. სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივნად არჩევის მოთხოვნაზე, თუმცა პარალელურად ყველა ღონე იხმარა "ადამონ ნიხასის" დაშლისათვის, რადგან ამ ორგანიზაციის პოპულარობის ზრდა ოს მოსახლეობაში ხელს უშლიდა მას იმპერიული მიზნების განხორციელებაში. აღსანიშნავია, რომ "ადამონ ნიხასის" მოთხოვნების უარყოფით კიმიმ თავი მშვიდობის დესპანად წარმოგვიჩინა, კიდევ უფრო განიმტკიცა პოზიციები ხალხში და შემდეგ ფარულად დაიწყო 20-30 კაციანი შეიარაღებული ჯგუფების ჩამოყალიბება. ეს ჯგუფები სამხედრო წვრთნას მისი უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ გადიან და სამხედრო ხელოვნების გათვალისწინებით ორგანიზებული მოქმედება შეუძლიათ ნებისმიერ სიტუაციაში /მცირე შეტაკებების დროს, შეიარაღებული თავდასხმის დროს და სხვა/. მათი ანიშნულებაც სხვა არაფერია, თუ არა სამაჩაბლოში კრემლის მიერ ინსპირირებული ეთნოკონფლიქტის კიდევ უფრო გაღრმავება და მდგომარეობის სრული დესტაბილიზაცია.

სანამ კიმი ცაგოლოვის შეიარაღებული ბანდების მოქმედებაზე გესაუბრებით, ავღნიშნავ, რომ პროკომუნისტურმა ძალებმა მიაღწიეს იმას, რომ დღეს სამაჩაბლოში გონიერებას ემოციები სჯარბობს. ეთნოკონფლიქტში ჩათრეულია მშვიდობიანი მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი და მომმე ერებს შორის მიმდინარეობს უაზრო სისხლისღვრა. ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სრული ანარქია და განუკითხაობა სუფევს ფაქტიურად ცხინვალში მცხოვრები დაახლოებით 10 - 15 ათასი ქართველი მძევლების როლში გვევლინებიან. აქ ოსმა ისე შეიძლება შეურაცხყოს ფიზიკურად და სულიერად ქართველი, რომ პასუხიც არ აგოს. ასევე განუკითხავად შეიძლება დაჩაგროს ქართველმა ოსი ცხინვალის ფარგლებს გარეთ. ყოველივე ეს მხოლოდ კრემლის წისქვილზე ასხამს წყალს, რადგან დამლუპველად მოქმედებს მომმე ერების არა მარტო ურთიერთდამოკიდებულებაზე, არამედ საბჭოთა მარწუხებიდან თავის დაღწევისათვის დაწყებულ განმათავისუფლებელ ბრძოლაზეც. ჩვენ ვემსგავსებით იმ მამლებს, ერთმანეთთან კინკლაობაში ბალღლღები ძალმა რომ შეჭამა.

სამწუხაროდ, დღეს იმდენად აურიეს ხალხს გონება, რომ ქრისტეშობისთვის 19-ში ოსი ეროვნების მე-11 კლასელები თავს დაესხეხ ქართულ სკოლას და მუქარით ითხოვდნენ, რომ ქართველი გოგონების გაუპატიურების ნება დაერთოთ. როდესაც ფიზიკური შეურაცყოფის მიუხედავად პედაგოგებმა შეაჩერეს გაბოროტებული ახალგაზრდები, ამ უკანასკნელებმა სკოლას მეორე მხრიდან კიბე მიადგეს და იქიდან სცადეს შენობაში შეღწევა. ვინ იცის ეს ამბავი რითი დამთავრდებოდა, საქმეში საღად მოზროვნე საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რომ არ ჩარეულიყო.

ცხინვალში ქორწინების სახლის სარდაფში, ე.წ. თავდაცვისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შტაბის მიერ მოწყობილ „სატუსალოში" მოთავსებული ქართველები საშინელ წამების, შეურაცყოფის, აბუჩად აგდების საგნები ხდებიან. ვინც ამ "სატუსალოს" ჯოჯოხეთი გამოიარა კარგად მოეხსენება ის სისასტიკე, რასაც ანტიქართულად განწყობილ ელემენტები სჩადიან. კერძოდ, დატყვევებულ ქართველს ჯერ "ჯალათი" აწამებს და დაკითხავს, შემდეგ ყველა მსურველს, / შტაბში შემთხვევით მოხვედრილ ოსსაც კი/ შეუძლია შევიდეს "საპატიმრო ოთახში" და ტყვე შეურაცყოს.

სამაჩაბლოში სისასტიკემ და განუკითხაობამ თავის კრიტიკულ წერტილს აპნისის 3- ში მიაღწია, როდესაც ნიკორაშვილების ოჯახში შეიჭრა შეიარაღებული ბრბო და აკვანში ორი ტყვიით მოკლეს 9 თვის თოთო ბავშვი. ვფიქრობთ ამ შემთხვევაში კომენტარი ზედმეტია.

როდესაც ამ საზარელ ფაქტებზე მოგითხრობთ, ჩვენ მიზნად არ ვისახავთ ქართველი ერის ოს ხალხის წინააღმდეგ დარაზმვას. პირიქით - ჩვენი მიზანია ფართო საზოგადოებრიობას დავანახოთ ის რეალური შედეგი, რაც კრემლისა და მისი მარიონეტების მიერ ინსპირირებულ ეთნოკონფლიქტებს მოჰყვა. კიდევ ერთხელ ავღნიშნავთ რომ დაღვრილია როგორც ქართველი, ისე - ოსი, უდანაშაულო მოსახლეობის სისხლი და თუ დროზე არ მოვუხმეთ გონიერებას, თუ არ შევწყვიტეთ უაზრო ძმათაშორისი ომი, ამ ბრძოლაში გაიმარჯვებს ვილაც მესამე, ამ მოვლენების უხილავი დირიჟორი. ის ვინც კიმ-ცაგოლოვსა და მისნაირ მარიონეტებს გზავნის საგანგებოდ შექმნილ „ცხელ" წერტილებში.

სიტყვამ მოიტანა და კვლავ კიმ ცაგოლოვსა და მის „ბაევიკებზე" გავამახვილებ თქვენს ყურადღებას. თადარიგის გენერალმა კარგად შეაფასა შექმნილი ვითარება, ქართველთა თავდაცვის ჯაჭვში აღმოაჩინა ყველაზე სუსტი რგოლი, სოფელი თამარაშენი /ამ სოფელს მოსახლეობის საკმაოდ მცირე რაზმი იცავს საკუთარი ძალებით/ და ქრისტეშობისთვის 26-ში ღამის 3 საათზე, როდესაც საგუშაგოზე 5 ახალგაზრდა იდგა, მოულოდნელად შეუსია უკვე საკმაოდ გამოწვრთნილი და გაბრიყვებული ოსები, რომლებმაც იმსხვერპლეს 17 წლის ვეფხია თუთარაშვილი, წაქცეული მეგობრის დასახმარებლად დახრილ ახალგაზრდას კი კონდახის ცემით გაუტეხეს თავი. ბედზე ქართველ ახალგაზრდებს დროზე მიუსწრო მაშველმა რაზმმა და ოსები უკუიქცნენ. გაგცეულებს დადევნებულმა ტყვიამ იმსხვერპლა ერთი ოსი.

დასასრულს გვსურს ავღნიშნოთ, რომ ჩვენ გვიმძიმს ამ წერილის ყოველი სტრიქონის დაწერა, რადგან რაც სამაჩაბლოში ხდება ქარსველი და ოსი ხალხის უდიდესი ტრაგედიაა და ღრმა ანალიზსა და სათანადო შეფასებას მოითხოვს. ეთნოკრიზისი საქართველოში მცხოვრები ყველა ერისათვის დამლუპველია. აქვე ავღნიშნავთ, რომ ამ რამდენიმე დღის უკან რუსთავში მოხდა რამდენიმე სერიოზული ინციდენტი ერთაშორისი ურთიერთობის ნიადაგზე. ეს კი ჩვენგან მეტ სიფხიზლესა და გონიერებას მოითხოვს, რათა სამაჩაბლოში შექმნილი ვითარება საქართველოს სხვა რეგიონებშიც არ განვითარდეს.

სდპ მოუწოდებს არა მარტო ქართველ და ოს ხალხს, არამედ -საქართველოში მცხოვრებ სხვა ერებსაც, ნუ აჰყვებით პროვოკაციებს. დავიცხროთ ემოციები, ყველა ღონე ვიხმაროთ რათა შეწყდეს უაზრო სისხლისღვრა და არავითარ შემთხვევაში არ დავუშვათ ეთნოკონფლიქტების ახალი კერების გაჩაღება. გავერთიანდეთ და ერთიანი ძალებით ვებრძოლოთ იმ ბოროტებას, რომელიც ერს ერის წინააღმდეგ ამხედრებს, ხალხს გოწებას უწამღავს და საშინელი დანაშაულისაკენ უბიძგებს.

ნუ განვახორციელებინებთ კრემლს დაყავი და იბატონეს პოლიტიკას საქართველოში. ჩვენ თავისუფლებისათვის ვიბრძვით და ამ სანუკვარ მიზანს კი მხოლოდ ძალების სრული მობილიზაციით, ერთობლივი ბრძოლით მივაღწევთ.

რაც შეეხება კიმ ცაგოლოვს და კრემლის სხვა პროვოკატორებს, ისინი დაუყოვნებლივ უნდა იქნენ გაძევებულნი საქართველოდან.

ჩვენი მომავალი ჩვენს ხელთაა

/ გაგრძელება /

მოუკიდებლობა "მფრინავ" ლოზუნგად იქცა., იმპერიამ ყოველთვის შეუძლია ჩვენი ყოველი ქმედების ერთაშორის "ულღ-ად, ძალადობად ან სხვა რამი არასამართლებრივ საქციელად გაასაღოს, რასაც აუცილებლად მოჰყვება დამსჯელი ოპერაციები საქართველოში, რის შემდეგაც კრემლი შეეცდება თავი გაიმართლოს მთელი მსოფლიოს წინაშე. რეფერენდუმი კი ამის საშუალებას საფუძველშივე უსპობს მას

ერი, ისევე როგორც ყველა ცოცხალი არსება, უნდა იყოს თავისუფალი. თავისუფლებას მცირეოდენი შეზღუდვაც კი მიუღებელია როგორც ყოველი თავმოყვარე ადამიანისათვის, ასევე მთელი ერისათვის. ჩვენ ვიბრძვით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის და არა მისი " სოციალური სუვერენიტეტის " გაფართოებისათვის. მრუღებელი და უსამართლოა ყველაფერი, რაც ამ გზას ეწინააღმდეგება. შეიძლება ითქვას, რომ ეს დაწაშაულია ქართველი ერის წინაშე. როგორ შეიძლება უსამართლოდ დატყვევებული შეეგუოს თავის მდგომარეობას და თავისუფლების ნაცვლად, უფრო "ფართო" და "კეთილმოწყობილი" გალია მოითხოვოს? ეს ერის დაცემისა და დაკნინებისათვის ხელის შეწყობაა და ასეთი პოზიციის ყოველგვარი გამოვლინება ძირშივე უნდა მოიკვეთოს.

ეროვნული მოძრაობა ავიდა ახალ, წმინდა სამართლებრივ, პოლიტიკურ საფეხურზე. საქართველოს დემოკრატიულმა პარტიამ, ჯერ კიდევ აგვისტოში, გაზეთ "თავისუფლების" მეცამეტე ნომერში გამოაქვეყნა მის მიერ დამუშავებული საყოველთაო რეფერენდუმის ჩატარების კანონი და სხვა ეროვნულ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს და მთელ ქართველ ხალხს ამ დემოკრატიული აქტის ჩატარებისაკენ მოუწოდა. გაზეთის ეს ნომერი ხელისუფლების მიერ ბლოკირებული იყო და მან მხოლოდ თვენახევრის შემდეგ იხილა დღის სინათლე. თვით ეს ფაქტიც კი ნათლად მეტყველებს, თუ რაოდენ არასასურველია ხელისუფლებისათვის საქართველოს ეროვნული მოძრაობის ამ მიმართულებით წარმართვა.

გორბაჩოვი იძულებული შეიქმნა ეცნო რუმინეთის შეიარაღებული აჯანყება და ძისასაღმებელი დეპეშა გაუგზავნა რუმინელ ხალხს. ასევე, იგი იძულებული გახდება "მიესაღმოს" ნებისმიერ სამართლებრივ აქტს საქართველოში. თვით შეიარაღებულ გადატრიალებასაც კი, მაგრამ დღეს ეს ქართველი ერისთვის შეუძლებელიც არის და მიუღებელიც.

რუმინელმა ხალხმა ნააღმდეგობის უკიდურეს ფორმას მიმართა. მართალია დიდი მსხვერპლის ფასად მაგრამ მაინც გამარჯვებით დააგვირგვინეს განმათავისუფლებელი მოძრაობა. საქართველოში სხვა პოლიტიკური სიტუაციაა. აქ, მართალია, ძნელია, მაგრამ მაინც შესაძლებელია რეფერენდუმის ჩატარება, თუ ამას პასუხისმგებლობით მოეკიდებიან როგორც პოლიტიკური ორგანიზაციები, ისე მთელი ერი. ჩვენ შეგვიძლია უმსხვერპლოდ მივაღწიოთ მნიშვნელოვან წარმატებებს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ყოველ ძემთხვევაში, ჩვენ უნდა ამოვწუროთ მშვიდობიანი ბრძოლის ყველა საშუალება.

ჩვენი მომავალი, ჩვენს ხელთაა. მაღე დადგება დრო, როდესაც ჩვენი და მხოლოდ ჩვენი გადასაწყვეტი გახდება საქართველოს ბედი. გვჯერა, რომ ქართველი ერი პოლიტიკურად მომზადებული შეხვდება ამ დროს და მის სასარგებლოდ "კორექტივებს" შეიტანს კაცობრიობის ისტორიის დინებაში.

ვახტანგ ტალახაძე /სდპ/

ფედერაცია თუ დამოუკიდებლობა

კომუნისტურ რეჟიმს უჭირს მოძველებული მეთოდები იმპერიის მართვა. ე.წ.საბჭოთა კავშირი აშკარა კრახის წინაშე დადგა. იმისათვის რომ შეინარჩუნოს კოლონიები, კრემლმა მიმართა მართვის ახალ მეთოდებს. კერძოდ, ქმნის რა გარდაქმნის, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის ილუზიას, უნაყოფოდ ცდილობს დასალუპად განწირული იმპერიის გადარჩენას.

კომუნისტური პარტიის ლიდერები და მათი მარიონეტები ქადაგებენ, რომ საჭიროა ფედერაციის ხელახლად შექმნა და ახალი დეკლარაციის მიღება. ირგებს რა ფედერაციის ნიღაბს, კრემლი ცდილობს ჩვენივე ნებით გვათქმევინოს თანხმობა მონობაზე, რაც, თავისთავად, დამღუპველი იქნება ქართველი ერისათვის.

მას შემდეგ, რაც რსფსრ-მ საქართველოს ანექსია და იძულებითი გასაბჭოება მოახდინა, საბჭოთა არჩევნები ფიქტიურ ხასიათს ატარებდა, ის იყო პოლიტიკური ფარსი და მეტი არაფერი. ყოველივე ეს კრემლს იმისათვის სჭირდებოდა, რომ იურიდიულად დაეკანონებინა თავისი არაკანონიერი მმართველობა და დასავლეთის ქვეყნების წინაშე წარმოჩენილიყო როგორც სამართალსუბიექტი.

დღეს კომუნისტური მთავრობა იძლევა იმის გარანტიას, რომ ადგილობრივ საბჭოებში დეპუტატების $^{2}/_{3}$ არჩეული იქნას ხალხის მიერ. მიუხედავად ამისა ჩვენ არა გვაქვს მორალური უფლება მონაწილეობა მივიღოთ არჩევნებში, რადგან ჩვენივე არჩეული დეპუტატების მიერ დაიწერება ახალი დეკლარაცია, დაიდება ახალი ხელშეკრულება "სუვერენულ" საბჭოთა საქართველოსა და რსფსრ-ს შორის და ჩვენ უკვე ჩვენივე ნებით შევალთ "განახლებულ" ფედერაციაში. სწორედ ეს ფაქტი იქნება ქართველი ხალხის მიერ იურიდიული დაკანონება უკანონო საბჭოთა ხელისუფლებისა, საქართველოში. ამის შემდეგ ჩვენ არავითარი უფლება არ გვექნება ვიბრძოლოთ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, რადგან გვეტყვიან: კი ბატონო, თუ 1921 წელს საქართველო ანექსირებული იქნა ბოლშევიკების მიერ და საბჭოთა ხელისუფლება არაკანონიერი იყო 70 წლის განმავლობაში, დღეს ხომ თქვენი ნებით აირჩიეთ საბჭოთა ხელისუფლებაო. მოკლედ; რომ ვთქვათ, ჩვენ ჩვენივე ნებით დავიდგამთ მონობის უღელს.

ქართველმა ერმა აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, ოღონდ არა საბჭოთა ერთპარტიულ სისტემაში, არამედ ალტერნატიული ჭეშმარიტად ეროვნულ, სახალხო არჩევნებში. არჩეული უნდა იქნას არა დამპყრობელი საბჭოთა ხელისუფლება, არამედ ჭეშმარიტად ეროვნული მთავრობა, ეროვნული სათათბიროს სახით. რომელიც იქნება საქართველოში მცხოვრები ხალხის ნების გამომხატველი და მათი ინტერესების რეალური დამცველი.

ბოიკოტი საბჭოთა არჩევნებს! მივიღოთ მონაწილეობა ალტერნატიულ არჩევნებში!

მურთაზ შენგელია

ქრისტეფობისთვის საპროტესტო აქცია

როგორც ცნობილია, 1948წლის ქრისტეშობისთვის 10-ში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო ადამიანთა უფლებების დაცვის დეკლარაცია ამ მნიშვნელოვანი მოვლენის 41-ე წლისთავთან დაკავშირებით, გასული წლის ქრისტეშობისთვის 11-ში საქართველოს დემოკრატიულმა პარტიამ, ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ, ქრისტიანულ-დემოკრატიულმა პარტიამ და სხვა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა თბილისში, სუკი-ს შენობა სთან ჩაატარეს საპროტესტო აქცია, რომელშიც ათასობით პატრიოტმა მიიღო მონაწილეობა.

აქციაზე გაკრიტიკებული იყო სუკი-ს პროვოკაციები და ადამიანთა უფლებების უხეში დარღვევები საქართველოში.

სურათზე: საპროტესტო აქცია.

სოციალ-დემოკრატიული „ოპოზიცია“ თუ პოლიტიკური ფარსი?!

ყოველი ახალი ორგანიზაციის ან პარტიის გამოჩენა პოლიტიკურ არენაზე, თავისთავად ექცევა როგორც "ოფიციალური ხელისუფლების", ისე ოპოზიციური ძალების მხედველობის არეში.

ამა წლის 11 ნოემბერს გაზეთ "ახალგაზრდა კომუნისტში" გამოქვეყნდა ინტერვიუ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის წევრთან – გურამ მუჩაიძესთან.

სწორედ ამ პარტიის შესაძლო "როლზე" ეროვნულ მოძრაობაში გვინდოდა გამოგვეთქვა ჩვენი აზრი.

დავიწყოთ იმით, რომ მთელს ინტერვიუს წითელ ზოლად გასდევს ეროვნული მოძრაობის და კერძოდ ამ მოძრაობის განმსაზღვრელი ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული მაკომპრომენტირებელი და აბსურდული იდეები.

მოვუსმინოთ ბატონ გურამ მუჩაიძეს:

—ამჟამად მიმაჩნია, რომ მმართველ პარტიას არა ჰყავს სერიოზული კონკურენტები, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი არაფორმალური ორგანიზაცია არსებობს, პარტიას მხოლოდ პარტია თუ დაუპირისპირდება.

იგი აცხადებს, რომ ის არაფორმალური ორგანიზაციები, რომლებიც თავის თავს პარტიებს უწოდებენ, სინამდვილეში არ არიან პარტიები, რადგანაც მათ არ გააჩნიათ პოლიტიკური პლატფორმა, რითაც ისინი ხელისუფლების სათავეში უნდა მოვიდნენ. ის აცხადებს, რომ ეს ორგანიზაციები შემოიფარგლებიან მხოლოდ ეროვნული პრობლემით და მათი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის მხოლოდ თვითმიზანს წარმოადგენს, მათი პოპულარობა კი მასების ემოციურ განწყობებს ეყრდნობა. ამავე დროს მისთვის რეალობაა ეროვნული მოძრაობა. კი მაგრამ საინტერესოა, თუ იგი ეროვნულ მოძრაობას აღიქვავს როგორც რეალობას, რა დააშავეს რადიკალურმა პოლიტიკურმა პარტიებმა. რა, ეს ორგანიზაციები და ეროვნული მოძრაობა სხვადასხვა მცნებაა?

იმაში კი აბსოლუტურად ვეთანხმებით მუჩაიძეს, რომ ნებისმიერი პარტია ხელისუფლებისათვის უნდა იბრძოდეს, მაგრამ რომელი ხელისუფლებისათვის–ესაა საკითხავი.

მუჩაიძეს ხომ არ ჰგონია, რომ საქართველო თავისუფალია და კანონიერი მთავრობა ჰყავს, ვეჭვობთ, რომ მან ეს არ იცოდეს, რადგანაც სწორედ ამ "კანონიერი" ხელისუფლების "დამსახურებაა" დევნა და რეპრესირება სოციალ-დემოკრატებისა, რომლებიც სხვა პარტიებთან ერთად კანონიერ ხელისუფლებას წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ საქართველოში.

მისთვის მიუღებელია ჩვენი და სხვა ოპოზიციური რადიკალური ორგანიზაციების მიერ არჩევნების ბოიკოტირება, რადგან თვლის, რომ ეს არა კონსტიტუციურია და ამ ბოიკოტის პარალელურად არჩეული ეროვნული სათათბიროს არჩევის მოთხოვნა არა კონსტიტუციურად მიაჩნია. იგი თვლის, რომ ხელისუფლების მიერ მისი გარეკვა სავსებით კანონიერი იქნება. მისთვის მისაღებია მხოლოდ პარლამენტური ბრძოლის გზა.

მუჩაიძის საუბრიდან გამომდინარე, მთელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კანონგარეშე ყოფილა და მისი რეპრესირება სავსებით კანონიერი იქნება.

საინტერესოა რომელ კონსტიტუციაზეა ლაპარაკი? იმ კონსტიტუციაზე ხომ არა, რომლის მიხედვითაც ფაქტიურად გაუქმებულია საქართველოს სახელმწიფოებრიობა და რომლის ძალისა და ნების გამომხატველი გახლავთ 9 აპრილის ბარბაროსული აქცია.

არსებობს კონსტიტუცია, მაგრამ არ არსებობს ამ კონსტიტუციაზე აგებული რეალური სუვერენული სახელმწიფო. არსებობს ხელისუფლება, რომელსაც არა აქვს უფლება მართოს თავისი ქვეყანა და ბოლოს, არსებობს სახელმწიფო /ქაღალდზე/, რომელსაც არ შესწევს უნარი დაიცვას თავისი მოქალაქენი ბარბაროსებისაგან. ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს თავისი კონსტიტუცია. კონსტიტუცია განსაზღვრავს და იცავს ამ სახელმწიფოს მოქალაქეთა უფლებებს. თუ არ არსებობს სახელმწიფო, თავისთავად არ იარსებებს კონსტიტუციაც. სწორედ ასეთი არარსებული სახელმწიფოა დღეს საქართველო.

ითვალისწინებს რა ამ რეალურ გარემოებას, ქართული ეროვნულ – განმანთავისუფლებელი მოძრაობა უარყოფს ყოველგვარ "კონსტიტუციურ – პარლამენტურ" ბრძოლის გზას. ის მხოლოდ საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპებზე აგებული ნორმებითა და აქტებით მოქმედებს, რომელიც ყველა საბჭოურ კონსტიტუციაზე მაღლა დგას. სწორედ ეს ნორმებია ჩვენი კონსტიტუციაც და ჩვენი კანონებიც. სწორედ ამ პრინციპებით არჩეული ეროვნული სათათბირო იქნება ქართველი ხალხის ინტერესების გამომხატველი უზენაესი ორგანო.

მუჩაიძეც აღიარებს, რომ კომუნისტური პარტია საქართველოში არა კანონიერია, ესე იგი არაფორმალური. კი, მაგრამ, შე დალოცვილო, არა კანონიერმა პარტიამ როგორ უნდა შექმნას კანონიერი სახელმწიფოს მართვის სტრუქტურები? როგორ შეიძლება არა კანონიერ პარტიასა და კანონიერ "პარლამენტს" ერთი ხელმძღვანელი ჰყავდეს. აქ მხოლოდ ერთი რამის თქმა შეიძლება: საქართველოში, როგორც კომპარტია, ასევე მის მიერ შექმნილი ე.წ. პარლამენტი არაკანონიერია.

როგორც მოგეხსენებათ, სოციალ-დემოკრატიული პარტიების იდეოლოგიურ ბაზისს წარმოადგენს მარქსისტული ფილოსოფია, რომელიც უარყოფს რელიგიას, მუჩაიძე კი ყველას მოუწოდებს განურჩევლად მისი მსოფლმხედველობრივი აზროვნებისა, შევიდეს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, თანაც პირველადი ჯგუფები შეიძლება ჩამოყალიბდეს საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის მიხედვით. რა, კიდევ ერთი სახალხო ფრონტი?

მათი საპროგრამო მოქმედებიდან თუ ვიმსჯელებთ, ისინი პირველ-ყოვლისა აყენებენ სოციალურ მოთხოვნებს და შემდეგ ეროვნულს, რაც დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე სრული უაზრობაა, რადგან მხოლოდ დამოუკიდებელ საქართველოში მოხერხდება მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა.

ვითვალისწინებთ რა იმ ფაქტს, რომ კომუნისტურმა პარტიამ დაკარგა თავისი ავტორიტეტი მასებში, და შემდგომში რეაბილიტაციისათვის სჭირდება ერთგული მეგობარი, ვფიქრობთ, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჩამოყალიბება პოლიტიკური ფარსია და მომავალში კომუნისტური პარტიის რეაბილიტაციისათვისაა გამიზნული. ეს ორი პარტია ყველა ღონეს იხმარს, რათა ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას ჩამოაშორონ მუშათა კლასი და მათი ყურადღება თავისუფლების იდეისაგან გადაიტანონ სოციალურ საკითხებზე. და ამ მიზნით, რაც შეიძლება ღამაზად დახატონ მაძღარი მონის თვითკმაყოფილებით აღსავსე პორტრეტი.

კი, მაგრამ რადაკალური ოპოზიციისათვის განა სულერთია, თუ რა პირობებში ცხოვრობს ქართველი ხალხი? მუჩაიძის სიტყვით თიქოს ეს საკითხი სულაც არ გვაღელვებდეს, მაგრამ ჩვენ ვთვლით, რომ სოციალური მოძრაობა ეფექტურია მხოლოდ დემოკრატიულ სახელმწიფოში და არა ისეთ ტოტალიტარულ ქვეყანაში, როგორიც საბჭოთა იმპერიაა, მითუმეტეს რომ ამ იმპერიაში ჩვენ კოლონიას წარმოვადგენთ.

მოკლედ, რაც არ უნდა ვიღაპარაკოთ, ფაქტი მაინც ფაქტად რჩება. კომუნისტების ინსპირირებით ყალიბდება კიდევ ერთი პროვოკაციური ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია იმისათვის, რომ ჭეშმარიტ ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას ჩამოაშოროს მუშათა კლასი, და ამით კომუნისტებმა თავის ახლადგამომცხვარ ძმებთან ერთად გაიმაგრონ პაზიციები საქართველოში, ხოლო მათი სახით კი იმპერიამ შეაკეთოს მორყეული საძირკველი.

დავით მგელიძე

საერთაშორისო ფოსტა

ლია წერილი
ქართველ სახალხო დეპუტატებს

ვიხილე რა კრემლის აპოლიტიკური სპექტაკლი კომუნისტური იმპერიის ციტადელის ყრილობათა დარბაზში, კიდევ ერთი არასასიამოვნო ფაქტის ძოძსწრე გავხდი.

დავიწყე იმით, რომ კრემლის რეგიონალური ორგანიზაცია - საქართველოს ე.წ. მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ერთვნულ- განმათავისუფლებელ მოძრაობას ჩამოაშოროს მოსახლეობის ფართო მასები და მათი ყურადღება დღევანდელობისათვის "მტკივნეულ" საკითხებზე გადაიტანოს.

ერთ-ერთი ასეთი მწვავე საკითხი კი ყოფილა, იგრიკას ცხრაში მშვიდობიანი საპროტესტო აქციის მონაწილეთა შარბაროსული ხოცვა- ჟლეტის დაგმობა სსრკ სახალხო დეპუტატთა მიერ.

როგორც კომუნისტური პრესა აღნიშნავს: თქვენ სახალხო დეპუტატებმა დასტოვეთ რა ყრილობის დარბაზი, უპრეცედენტო შემთხვევა ჩაიდინეთ და აქედან გამომდინარე ღამის გმირებად შეგრაცხეს. პირადად ძე კი დარწმუნებული ვარ, რომ კომუხისტური ძალების მიერ უხილავი ძაფებით თქვენი მართვა ერთი წამითაც არ შემწყდარა. უფრო მეტიც, თქვენდაუნებურად გრწყინვალედ შეასრულეთ თქვენთვის გამიზნული როლები.

ბატონო დეპუტატებო, ყრილობათა დარბაზში დაბრუნებას თქვენ ამართლებთ იმით, რომ საჭირო იყო ყრილობის პიერ დადგენილების მიღება ისეთი სახით, როგორც ჩვენ გვინდოდა.

საინტერესოა და პარადოქსული, რომ ყრილობას, რომელსაც უხდომლობას უცხადებთ და პროტესტის ხიშნად დარბაზსაც სტოვებთ, ნახევარი საათის შემდეგ კვლავ ეხდობით და დარბაზში გრუნდებით. მსგავსი საქციელი ყოვლად მიუღებელია, რადგან იგრიკას ცხრაში დატრიალებულ ტრაგედიაში დამნაშავეა მხოლოდ და მხოლოდ სსრკ კომუნისტური პარტია, საბჭოთა იმპერია და არა ცალკეული მარიონეტები: დაწყებული რიგითი სამხედროდან, დამთავრებული მაღალი რანგის მოხელე- ჩინოვნიკებით. აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ ღღეს ქართველი ერისთვის მთავარი ის კი არ არის, რომ ტრაგედიის ორგანიზატორები დავსაჯოთ და ამით ერთგვარ დამშვიდებას მივეცეთ, არამედ ის, რომ ძირშივე მოვსპოთ ამ და სხვა საშინელი ტრაგედიების წარმომშობი ბოროტება. ვიბრძოლოთ და გამარჯვებით დავაგვირგვინოთ ის საქმე, რომელსაც შეეწირნენ ქართველი პატრიოტები იგრიკას ცხრაში.

დასასრულს მსურს ავღნიშნო რომ იგრიკას ცხრაში საპროტესტო აქციის მონაწილეთა ბარბაროსული ხოცვა- ჟლეტის იმუღებით დაგმობა სხვა არაფერია, თუ არა საშინელი ცინიზმი. ვფიქრობ მკვლელის მიერ ქართველთათვის ცხადზე უცხადესი ჭეშმარიტების დადასტურება, სავსებით არ იძლევა იმის გარანტიას რომ მომავალში მსგავსი ძალადობა არ განმეორდება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ხსნის გზების კრემლში ძებნა თავის მოტყუებაა და მეტი არაფერი. ძამული ჩვენი მრავალჯერ ყოფილა დაპყრობილი უცხო ურდოების მიერ, მაგრამ ხსნა არასდროს უძებია დამპყრობლის ქვეყანაში, იქნება ეს არაბეთი, ძონღოლეთი, სპარსეთი, ოსმალეთი თუ სხვა.

ხსნა ყოველთვის აქ იყო, საქართველოში.

დავით კაჭკაჭიშვილი

ბატონებმა მხოლოდ ნამდვილი რომი გადაარჩინეს

ყოველ შეკრებას თუ თავყრილობას თავი კაცი რომ სჭირდება, ეს ყველამ ვიცით, მაგრამ რაც სსრკ სახ. დეპ. II ყრილობაზე ვიხილეთ, ყოველგვარ წარმოდგენას სცილდება.

ჩვენ ვიხილეთ თვითმპყრობელი რეჟისორი, რომელიც პოლიტიკური თეატრისათვისაც კი მიუღებელი, ცინიზმამდე დასულ პიესას წარმოგვიდგენდა, ასევე ცინიზმითა და ღვარძლით სავსე მსახიობების მონაწილეობით /ზოგიერთ მსახიობს ბუტაფორიებისთვის მეტი დამპჯერებლობა რომ მიეცა, ხალხიც კი დაახოცინა იგრიკას ცხრაში/.

ტრაგიკომედიური სცენა იმართებოდა კენჭის ყრის დროს: -ბატებო, ბატებო ამა და ამ ღილაკს დააჭირეთ თითო - ისმოდა დარბაზში /ამ დროს კი ნამდვილად მართალი იყო ბატონი რეჟისორი! მისი ბატებისათვის "ფილესის" ფილმის კომპიუტერული მანქანა ისეთივე უცხო ხილი იყო, როგორც სინდისი და ადამიანური ღირსება/.

ძალიან ვაფასებ ბევრ დეპუტატს და მათთვის სპექტაკლში წინასწარგანსაზღვრული როლების შემსრულებლობა სულაც არ მინდა დამებრალებინა. მთელი საქართველო მე-II ყრილობას მხოლოდ იგრიკას ცხრის ტრაგედიის მომწყობთა დასჯის იმედით შესცქეროდა, მაგრამ ეს საკითხი ჩემგან პატივცემულ დეპუტატებს სწორედ I ყრილობაზე უნდა გადაეწყვიტათ. პირველმა ყრილობამ საფუძველი ჩაუყარა კაცობრიობის ისტორიაში არნახულ ფარსს: მკვლელთა დასჯა მიანდეს მკვლელობის ინიციატორებს, ხოლო რაც ყველაზე ამაზრზენია კონსტიტუციური უფლებობის დროს დაზარალებულთ სწორედ ამ არასამართლებრივი კონსტიტუციით მისცეს თავის დაცვის უფლება.

კიდევ ვიმეორებ, ბევრ გონიერ დეპუტატს ვაფასებ /როგორც ქართველს, ისე - არაქართველს/, მაგრამ მათ I ყრილობაზე უნდა დაეტოვებინათ იმ ათასი სისხლიანი განაჩენის გამომტანი დარბაზი და ბოიკოტი გამოეცხადებინათ მეორე ყრილობისათვის. - არ გეკადრებათ ბატონო დეპუტატებო ბატების გვერდზე ჯდომა!

ხოლო თვით რეჟისორს კი მსურს მივმართო: ბარე ბევრ თქვენს წინაპარს სურდა მოსკოვის მესამე რომად წარმოჩინება, მაგრამ კარგად გაიხსენეთ, რომ ბატებმა მხოლოდ ნამდვილი რომი გადაარჩინეს დაღუპვისაგან.

კოტე ცინცაძე

ის ვინც სისტემატურად კითხულობს საქართველოს დემოკრატიული პარტიის პუბლიკაციებს, კარგად უდა ჰქონდეს წარმოდგენილი კარტიის კონცეპტუალური შეხედულებები ახალი, დემოკრატიული ტიპის საქართველოს შექმნასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებით. პარტიის ამშენებლობითი კონცეფცია ყველაზე სრულყოფილადაა ჩამოყალიბებული მისი საპროგრამო დოკუმენტებში, რომლებიც გამოქვეყნებული იყო გაზეთ "თავისუფლების" წინანდელ ნომერში.

ამავე დროს ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე სამართლიანად მოგვიწოდებს იქითკენ, რომ კარტიამ ჩამოაყალიბოს არსებული იმპერიული სისტემის ნგრევის თავისეული კონცეფცია, რაც, ჩვენი აზრით, ბუნებრივი მოთხოვნაა.

რა თქმა უნდა, საქართველოს დემოკრატიულ პარტიას არა აქვს პრეტენზიები წინასწარმეტყველის როლზე, მაგრამ საკუთარ იდეოლოგიაზე დაყრდნობით მას შემუშავებული აქვს იმპერიის ნგრევის ეს კონცეფცია, რომლის ძირითადი მომენტების გადმოცემაა წინამდებარე წერილის მიზანი.

ე.წ. საბჭოთა კავშირის სოციალურ- ეკონომიკური და კულტურულ- პოლიტიკური მაკროსისტემა, კირობითად შეიძლება წარმოდგენილი იქნეს სამი ძირითადი ქვესისტემის სახით, ესაა:

ა/ პოლიტიკური ქვესისტემა, შესაბამისი მონოპარტიული სტრუქტურით.

იმპერიის რღვევის პერსპექტივის შესახებ

თეიმურაზ მნათელი

ბ/ ეკონომიური ქვესისტემა, ძესაბამისი " დაინტეგრირებული", ცენტრალიზებული სტრუქტურით, რომლის ფუნქციონირებაც ხორციელდება ადმინისტრაციულ - ბიუროკრატიული აპარატის მეშვეობით.

გ/ მაკროსისტემის ინტერესების დამცავი უშიშროების ქვესისტემა, რომლის სტრუქტურაც აერთიანებს არმიას, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს და შინაგანი სამინისტროს სამსახურს.

იმისათვის, რომ დაჩქარდეს იმპერიული მაკროსისტემის რღვევის პროცესი, ჩვენი აზრით, საჭიროა ზემოთჩამოთვლილი სამი ძირითადი ქვესისტემის ფუნქციონირების შეკავება და ბლოკირება, თუ როგორ გვაქვს წარმოდგენილი ბლოკირების შექანიზმის მოქმედება, სწორედ ამაზე გვექნება ქვემოთ საუბარი.

უშიშროების ქვესისტემა კოლიტიკურ და ეკონომიკურ ქვესისტემაზე დამოკიდებული სტრუქტურაა. მას არ შეუძლია ავტონომიური არსებობა შესაბამისი ბაზის გარეშე. 1917 წლის შემდეგ ეს " პოლიციური აპარატი" განსაკუთრებით არის პირველ ძალაზე წამოწეული ჩვენს ძიერ გამოყოფილ ტრიადაში, თუძცა ამ ხნის განმავლობაში ის სხვადასხვა როლს თამაშობდა არსებობის სხვადასხვა ეტაპებზე. ქვეყნის ღღევანდელი საგარეო და საშინაო კირობების ანალიზი უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ უშიშროების ქვესისტემა ვერ იქნება პრიორიტეტული ამბიციების მატარებელი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. თუკი ძალიც ძხდა ძისი ჩარევა მაკროსისტემის ფუნქციონირებაში, ჩვენის აზრით, შეიქმნება კოლიტიკური და ეკონომიკური დესტაბილიზაციისათვის ხელშესაწყობი პირობები, რომლებიც დაარჩქარებენ ქვეყნის ტოტალური ოლვევის კროცესებს. უშიშროების ქვესისტემა თავის თავზე ვერ აიღებს პოლიტიკურ პროგატივებს, ხოლო ნებისმიერი საღად მოაზროვნე პოლიტიკოსი არამც და არამც არ "ჩაიბარებს" მისგან ამ ფუნქციის განხორციელებას.

იმისათვის რომ მოხდეს ოფიციალურად არსებული პოლიტიკური ქვესისტემის ფუნქციონირების ბლოკირება, საჭიროა მისი პარალელური, ალტერნატიული /დაპირისპირებული/ სტრუქტურების შექმნა. ეს სტრუქტურები უნდა შეიქმნას ქვევიდან /ხალხის წიაღიდან/ დემოკრატიულ საყისებზე დაყრდნობით. მიგვაჩნია, რომ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში ჩართულმა ორგანიზაციებმა თავიანთი საქმიანობა უნდა წარმართონ სწორედ ამ ძიმართულებით. შეძლებისდაგვარად მოამძლავრონ საზოგადოების პარალელური, ალტერნატიული სექტორი, როგორც ძრომელთა სამუშაო, ასევე საცხოვრებელ ადგილებზე. ეს არ არის ერთჯერადი პროცესი და შესაძლოა რომ ძისი განხორციელებისათვის საჭირო გახდეს გარკვეული ისტორიული კერიოდი. გვწამს, რომ აუ არ ძოხდა კარალელური, ალტერნატიული სტრუქტურების ძომრავლება "კრიტიკული ძასის" ზღვრულ ძიჯხამდე, ცალკეული კოლიტიკური აქციები არ გამოიღებენ კარდინალურ შედეგებს და რესკუბლიკის ძოსახლეობის სოციალური ენერგია, გარკვეულწილად, ფუჭად იქნება მიმოფანტული.

რაც შეეხება ეკონომიკურ ქვესისტემის ბლოკირებას, იგი დიდ ხნის დაწყებულია, და ამ პროცესის შედეგები ყველა ჩვენთაგანის წინაშეა. უნიფიცირებული და ცენტრალიზებული ეკონომიკური ქვესისტემის ფუნქციონირება საერთოდ არ ძეიძლება განხორციელდეს ადმინისტრაციულ - ბიუროკრატიული აპარატის გამოყენების გარეშე. ამავე დროს მწარმოებლის გაუცხოვება წარმოების საშუალებებისაგან, ქმნის ინტეფერენტული და კონფორმისტული ბუნების ადამიანის ახალ სოციალურ ტიპს, რომლისთვისაც სულ ერთია ძისი მუშაობის შედეგები და ხარისხი. ეს ტენდენცია ღღესაც გრძელდება და თუ არ ძოხდა ეკონომიკის ჭეშმარიტი დეცენტრალიზაცია, გარდაუვალია სისტემის ეკონომიკური კრახი. ეკონომიკის დეცენტრალიზაცია ძეუძლებელია ეკონომიკური პლურალიზმის კრინციპების ძოქმედების გარეშე, რაც ძესაძლებელია ძხოლოდ და ძხოლოდ კოლიტიკური პლურალიზმის კირობებში.

ღღევანდელი ძონოპარტიული სისტემის აპოლოგეტები ვერ თმობენ იდეოლოგიურ ძესიანიზმის თვითმარქვია ძედროშის ფუნქციებს და ცდილობენ მასების ცოცხალი, პრაქტიკული შეძოქმედება წარმართონ სკოლასტიკური დოგმებისა და სკეძების ჩარჩოებში. მიგვაჩნია, რომ ვინაიდან შეუთავსებელია იდეოლოგიური ძესიანიზმი და ეკონომიკის დეცენტრალიზაცია, ეკონომიკის რღვევის ტენდენცია შენარჩუნებული იქნება მწარმოებელი სუბიექტების /იგულისხმება კირველადი საწარმოები, ორგანიზაციები, კოოპერატივები და ინდივიდუალები/ "სუვერენიტეტის" კოაქტიკულ განხორციელებამდე.

ამრიგად, ღღევანდელ ეტაკზე ჩვენ პრიორიტეტს ვანიჭებთ პოლიტიკური ქვესისტემის ოფ-კონსტრუქციას და აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ საქართველოს ეროვნულ-განთავისუფლებელმა ძოძრაობამ სწორედ ამ მიმართულებით უნდა წარმართოს თავისი საქმიანობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორბაჩოვი და „პერესტროიკა“

კარიკატურისტის თვალით



დემოკრატი
მთავარი რედაქტორი ჯიმშერ გედიანაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გენადი ურუმბეგაშვილი
სარედაქციო კოლეგია: კობა მშვილდაძე, დავით მჭედლიძე, გუჯან ჭუზაგრია, მურთაზ შენგელია.
მოგვწერეთ: ქ. რუსთავი არაყიშვილის 3 - 2
დაგვირეკეთ: ტექნიკური რედაქტორი 14-24-58
გაზეთი გამოდის არაპერიოდულად
ფასი 1 მ. [redacted]